№ 191

სამშაბათი, 4 სექტემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 191

სამშაბათი, 4 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 2.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საჯარო ბიბლიოთეკა ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წლიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—13)

ქ. ქუთაისში

ქალაქის ექიმი

ი. ი. ჩარექოვი

გადავიდა ბინად ტფილისის ქუჩაზე, თ. ნიჟარაძის სახლში, № 46, აბორინის სახლის გვერდში.

იღებს ავადმყოფებს 10—12 საათამდის.

(8—185—8)

ექიმი

ვასილი მიხეილის-ძე

მანსვეტოვი

იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დილისა, ავადმყოფებს შინაგან, ძარღვებისა, საბავშვო და ვენერიულ ავადმყოფობით.

ვოდოვოზნი ქუჩა, ს. ახვერდოვისა, № 29, ძველი სახელმწიფო თეატრის ახლო.

(20—187—6).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible] აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყოროღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბებთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ფელეტონი

—

სოფლად

ნაფიქრი და ნანახი.

I.

თუ ჩვენს მწერლობას თვალ-ყურს ადევნებთ, გეცოდინებათ, რომ სოფელს ცუდი დრო დაუდგა: ეგრეთ წოდებული მესამე დასი ყოველ ღონისძიებას ჰხმარობს, რომ სოფელს პატივი აჰყაროს, სახელი გაუტეხოს და მნიშვნელობა ლაუკარგოს. ამ დასის აზრით, სოფელი მხოლოდ „ტეტიათა ბუნაგია“, უმეცრებისა და უვიცობის სადგურია, „კონსერვატორობის,“ ბუდეა. სოფლის ყბად აგდებამ ამ ბოლო დროს იმქამდე მიაღწია, რომ ზიზღით და წყევლით სდევნიან თვით იმ გაზეთსაც—„ივერიას“,—რომელიც სოფელს ესარჩლება, იმის ავსა და კარგს აკვირდება, იმის აღორძინებისა და წარმატებისათვის ზრუნავს. „მხოლოდ სოფელი და სოფელში—აი რა დააწერა „ივერიამ“ თავის დროშაზედ. ამით მან, რასაკვირველია, სულ მთლად შეაბრუნა თანამედროვე ვითარება და მთელი მისი ძარღვი ქალაქიდგან სოფელში გადაიტანა. და რომ „ივერიას„ ამ მხრით გავლენა ჰქონოდა და საქართველოს მისი პროგრამით ევლო—დღეს, უეჭველია, უფსკრულის კიდეზედ ვიდგებოდით“—ამას და ბევრს ამგვარს რამეს ღაღადებს მესამე დასის ბელადი („ქართული პრესა“, გვ. 55—9). ამ დასის თვითეული ნეოფიტეც თავისს ზნეობრივ მოვალეობად სთვლის, ქართველს სოფელზედ გული აუცრუოს და „მრეწველობისა და ალებ-მიცემობის“ ადგილს დააბინაოს, მესამე დასის ლექსით რომ ვსთქვათ, გააქალაქოს...

იყო დრო, როცა სოფლის კაცი, გლეხი, „ტეტია“ სატრფიალო არსებად ითვლებოდა და ჩვენს ხელოვნურს, სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში პირველი ადგილი ეჭირა. მაშინ სოფელი და გლეხი წარმტაც საგანს შეადგენდნენ და თვითეული ახალგაზდა ბელეტრისტი იმის ცდასა და ზრუნვაში იყო, რომ „ტეტია“ ყოველგვარ საქებარის ღირსებითა და თვისებით შეემკო, მკითხველის სათაყვანებლად გარდაექცია. ახლა გლეხი, „ტეტია“ ქალაქის მუშამ განდევნა, ახლა სოფელმა ალაგი ქალაქს დაუთმო, ვინაიდგან „თანამედროვე ვითარება და მთელი მისი ძარღვი სოფლიდგან ქალაქში გადავიდაო“... როგორც თქვენც ჰხედავთ, დრონი იცვალნენ! „ივერია“ უმთავრეს თავის ყურადღებას სოფლის ამბებს აქცევსო“, „ის ძველებურ აზროვნებას არ მოშორებია და სოფლის გარეთ აღარაფერს ხედავსო“,—ასე ბჭობენ მესამე დასელნი და თანაც ბუკითა და ნაღარით იწვევენ სოფლელებს გაქალაქდითო, ქალაქად დაბინავდით და იქ სწიეთ მრეწველობისა და ალებ-მიცემობის ჰაპანიო...

ყველა შეგნებული ქართველი, რომელიც თავისის ჰკუით სჭრის და ჰკერავს და თუთიყუშისავით ამოკითხულს და გაგონილს არ გაიძახის, ადვილად მიხვდება, რომ „ტეტიას“ და „მუშას“ მიმართ ტრფიალი, ერთისა ანუ მეორის კერპად გარდაქცევა ცალ-კერძო მიმართულების საქმეა, „პარტიული“ მოძღვრებაა და შეცდომას წარმოადგენს. ამიტომაც „ტეტიაობას“ ჩვენს მწერლობაში ნება-უნებურად ანდერძი აეგო. ახლა რიგი მიდგა იმ მოძღვრებაზედ, რომელსაც ღიარებენ „გაქალაქების“ მოტრფიალენი. თუ მოვესწარით, დავინახავთ!... ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ ჟამად გაქალაქების მოძღვარნი მეტად შეუპოვრად და მედგრად იბრძვიან...

ამ ზაფხულს, როცა სიცხე ქალაქს ცეცხლს უკიდებდა და მე სააგარაკოდ მივეშურებოდი, ერთმა ჩემმა ნაცნობმა, მარქსის ბარტყმა სასაცილოდ ამიგდო, რომ „რეტროგრადი“ ვარ, თანამედროვე ცხოვრების ალღო აღებული არა მაქვს, რადგანაც „მოქალაქეობის სადგურს“ ვუფრთხი და „ტეტიას“ სამეფოსაკენ მივეშურები!... მეტი-ღა გონების სიბრმავე გაგონილა! სოფელმა არათუ თავისი იდილია და პოეზია დაჰკარგა, მისი ხსენებაც-კი სათაკილოდ შეიქმნა!...

დიაღ, იმას ვამბობდი, რომ „ივერია“ აიძულეს ლამის ჯვარს აცვან იმიტომ, სხვათა-შორის, რომ „უმთავრეს თავის ყურადღებას სოფლის ამბებს აქცევს“...მაგრამ განა სოფელს უმთავრესი მნიშვნელობა არა ჰქონია და ან ახლაც არა აქვს ჩვენს სამშობლოში?—მხოლოდ წარსულისა და აწმყოის უცოდინარი და უმეცარი თუ იტყვის, რომ ჩვენის სამშობლოს დედა-ძარღვი ქალაქშია და არა სოფელში, ჩვენის ცხოვრების ღერძი თავისის ჩარხითა და ბორბლით ქალაქში ტრიალებს და არა სოფელში. როგორც ძველად, ისრე ახლაც ჩვენში სოფლელობა დიდს უმრავლესობას და უპირატესობას შეადგენს. თვით უცხოელნი მოგზაურნი, მაგალითებრ, შარდენი, შენიშვნენ, რომ ქართველობა უფრო სოფლად ბინადრობს, უფრო სოფელს ეტანება და მიეშურებაო.

მართალიც არის. თუმცა უძველეს დროიდგანვე საქართველოში მრავალი ქალაქი იყო—იმათი სახელებით ჩვენი მატიანე აჭრელებულია,—მაგრამ ქალაქი არასოდეს არა ყოფილა სოფლის ბატონი და პატრონი, იგი ქალაქი არასოდეს არ შექმნილა მოქალაქეობის წყაროდ. ცხოვრების მაჯა სოფელში სცემდა, შემოძახილი იქ გაისმოდა და ბევრჯერ ქალაქი ბანსაც არ აძლევდა საერთო სიხარულსა თუ სიმწუხარეს. ხშირად მომხდარა, რომ თვით დედა-ქალაქნი, მაგალითებრ, ტფილისი, ქუთაისი,—მტრის მეცხენეთა ჰქონიათ დაპყრობილნი და მოკვეთილნი ყოფილან სამშობლოსაგან, მაგრამ სამშობლოს, მთელ ქვეყანას ეს გარემოება არაფრად ჩაუგდია და ცხოვრება თავისს ცაკაფულს გზას არ ასცდენია. და ეს იმიტომ, რომ ქვეყანას სოფელი შეადგენდა, იგი სოფელი უფლებდა...

ასე ჰგონიათ, რომ ჩვენში ქალაქს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ევროპაში. სრული შეცდომაა. ევროპიელ ქალაქის ისტორია და თავ-გადასავალი, მისი წარსული და აწმყო სულ სხვაა. იქ მართლაც ქალაქი მოქალაქეობისა, წარმატების და წინმსვლელობის ადგილად შეიქმნა და იმ ადგილი-

მთავრობის განკარგულება

—

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა კარლ ფრომანი ტფილისში გერმანიის ელჩად იქმნეს ცნობილი.

ებოძათ შტაბს-კაპიტნობა კავკასიის გრენადერთა ბრიგადის კაპიტნებს თავ. ბებუთაშვილსა და თავ. აბხაზს; წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენი ვლადიმერის მე-61 ქვეითა რაზმის კაპიტანს ალექსანდრე ჯაფარიძესა და იმიერ კასპიის მე-2 რკინის გზის ბატალიონის პორუჩიკს თეოფანე მანველიძეს.

ებოძა: კოლეჟსკი ასესორობა დიდის მთავრის გიორგი მიხეილის ძის მე-5 კავკასიის მსროლელ ბატალიონის რაზმის უმცროს მკურნალს ახვლედიანს.

ახალი ამბავი

—

⁂ როგორც ვუწყით, თავისუფალ ყურის-მგდებელთა მიღება უნივერსიტეტში შეზღუდულია საერო განათლების სამინისტროს ყურადღება მიუქცევია ამ საქმისათვის და განუზრახავს გააადვილოს თავისუფალ ყურის-მგდებელთა მიღება.

⁂ საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს ამ ახლო მომავალში გადაათვალიეროს და შეავსოს კატალოგები სახალხო და სასწავლებლის წიგნთ-საცავებისა. ეს საქმე განსაკუთრებულ კომისიისთვის მიუნდვიათ.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას გამართოს ტფილისში ამ გამოფენის დროს სასოფლო მეურნეობის მოღწაწეთა კრება.

⁂ მომავალის წლის დამდეგს საერო განათლების სამინისტრო შეიმუშავებს მოზრდილთათვის საღამოს კურსების გამართვის განსაკუთრებულ წესებს.

⁂ უმაღლეს მთავრობას გადაუწყვეტია შეუდგეს ციმბირსა, იმიერ-კასპიის მხარესა და სხვა ოლქებში, სადაც თავისუფალი ადგილებია, ამ ადგილების გამოკვლევას შიდა რუსეთიდგან ხალხის გადასასახლებლად.

⁂ ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს გააფართოვოს ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებათა მოქმედება. უმთავრესი ყურადღება მიექცევა სახალხო წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოების გამართვის საქმეს. ამისათვის სამინისტროს უკვე გადაუდვია საჭირო თანხა.

⁂ პარასკევს, 7 სექტემბერს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სამკითხველოში (სათავად-აზნაურო შენობაში) კრება მოხდება საკვირაო სკოლების საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ გუშინ-წინ, 2 სექტემბერს, გუდოვიჩის ქუჩაზედ ცეცხლი გაუჩნდა ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანას. ცეცხლი ესე 10 საათზედ გაჩნდა და მალე მოედო ქარხნის ყველა შენობას. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ვერაფერი გააწყო, რადგანაც ქარხანას მისადგომი ადგილი არსაიდგანა ჰქონდა. ქარხანა სულ ერთიან გადაიწვა. იგი „მოსკოვის დამზღვევ საზოგადოებაში" იყო დაზღვეული 100,000 მანეთად. ზარალი ამ რიცხვს აღემატება.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟინერს ვედენეევს ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, მოელიან სევასტოპოლიდგან ბათუმში.

⁂ გუშინ, 3 სექტემბერს, დაიწყო სწავლა ტფილისის სავაჟო და დედათა გიმნაზიებში, ქალაქისა და სამრევლო პირველ-დაწყებითს სკოლებში; სწავლა დაიწყო აგრეთვე იუნკრისა და სასულიერო სასწავლებლებში.

⁂ რადგანაც გელათის მონასტერში 8 სექტემბერს, ღვთისმშობლობა დღეს, მრავალი მლოცველები დადიან როგორც ქუთაისიდგან, აგრეთვე სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის განკარგულებით 7 და 8 სექტემბერს გელათსა და ქუთაისს შუა განსაკუთრებულის წესით იქნება მატარებლების მიმოსვლა.

⁂ სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამმართველ უმთავრესს კომიტეტს მოსალოცი დეპეშები მოუვიდა გამოფენის გახსნის გამო კავკავიდგან, თერგის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან, ყარსის სამხედრო გუბერნატორისაგანა და სხ.

⁂ საიუბილეო გამოფენა გახსნილი იქნება ყოველ დღე ხალხისათვის პავილიონების დასათვალიერებლად დილის 8 საათიდგან საღამოს 6 საათამდე, ხოლო გასართობებზე დასასწრებლად ნაშუაღამევის 1 საათამდე.

⁂ დღეს, 4 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა მოხდება ქალაქის საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს წესი, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქმა საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულებისა გამო საიუბილეო დღესასწაულში.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საიუბილეო საზოგადო კრება განზრახულია დანიშნონ 30 სექტემბრისათვის.

⁂ ტფილისში ამ ჟამად გამოფენისა გამო დიდ-ძალი ხალხის მოძრაობით სარგებლობენ ჯიბგირ-ქურდ-ბაცაცები და აქეთ-იქით დასუნსულებენ საკბილოს რასმეს წააწყდნენ სადმე. კვირას, დღის 12 საათზედ, ვერის ხიდზე გამომავალ ცხენის რკინის გზის ვაგონის ერთს პასაჟირს ისე მოხერხებულად ამოაცალა ჯიბგირმა ქისა 7 მანეთით, რომ ვერაფერი ვერ გაიგო, სანამ თითონ არ გაიქცა ჯიბგირი და ყველამ ჯიბეზე ხელი არ მოისვა. ჯიბგირს გამოუდგნენ, მაგრამ ვერ დაიჭირეს და სადღაც მიიმალა.

⁂ სასტუმრო „ვეტცელის" ბუხგალტერი პავლე პავლოვიჩი რაღაც ფულის ანგარიშის თაობაზე კვირას, 2 სექტემბერს, რევოლვერით დასჭრა შუშის მცხოვრებმა სარქის სულეიმანოვმა, რომელიც პოლიციამ დააპატიმრა და პასუხის გებაში მისცა.

⁂ პოლიციის მე-10 ნაწილში ნაძალადევს ახლო ამიერ-კავკასიის რკინის გზის საბუნჩის სადგურის მწონავ იოსებ დონეცკის გვამი უნახავთ დაგდებული, რომელსაც სახე ნალველასავით ჰქონია გალურჯებული. როგორც ფიქრობენ, ნაძალადევად არ უნდა იყოს დონეცკი მოკლული, რადგანაც მას ახლო უნახავთ შუშით კარბოლის სიმჟავე და აგრეთვე ტანისამოსი მთელი აქვს. ტანზე არავითარი ნიშანი გალახულობისა არ ატყვია. მოკვლის მიზეზის გამოსარკვევად გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საანატომიო თეატრში გაგზავნეს, სადაც მკურნალები შეამოწმებენ.

⁂ პოლიციის მე-4 ნაწილში, 31 აგვისტოს, დღის 12 საათზედ, მანთაშევის 2 სართულიან სახლში კიბეზე თამაშის დროს ჩამოვარდა 11 წლის ტფილისის მოქალაქის შვილი გრიგოლ ივანეს ძე მატინიანცი, რომელსაც დაუშავდა ხელი და თავი; ბავშვი შემწეობის აღმოსაჩენად მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. რამდენად საშიშოა ბავშვის მდგომარეობა, ჯერ არ იციან.

⁂ პოლიციის პირველს ნაწილში, ჰავჰავაძის ქუჩაზედ, მღვდლის ტერ-აკოფოვის სახლთან პოლიციელს უნახავს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი მამრობითის სქესისა; ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

კავკასიის გამოფენა.

—

კვირას, 2 სექტემბერს, გამოფენის გახსნის შემდეგ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ერმოლოვს:

„კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ულრმესად გმადლობთ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გასამართავად თქვენის განათლებულ ყურადღებისა და დახმარებისათვის. გამოფენა, რომლითაც აღინიშნება საიუბილეო დღესასწაული სამეურნეო საზოგადოების ორმოცდა-ათი წლის მოქმედებისა და საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულებისა, დღეს ნაშუადღევის პირველს საათზედ გაიხსნა.

—

ტფილისის საბალოსნო სკოლის სადგომში კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის უმთავრეს საექსპერტო კომისიის სხდომა ამ დღეებში მოხდება.

† ნეკროლოგი.

პრეზიდენტი ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებისა მაკ-კინლეი (1844—1901 წ.)

—

როგორც დეპეშა გვაუწყებს, პრეზიდენტი მაკ-კინლეი 1-ლ სეტქემბერს დილის 2 საათზედ გარდაცვლილა. ესაც კიდევ ახალი მსხვერპლი თანამედროვე ანარქიულ მოძრაობისა, რომელიც თან-და-თან მეტს გაბედულობას, მეტს მხნეობას იჩენს და თითქმის მთელს დედამიწის ზურგს ეფინება.

ამ ჟამად ანარქისტთა (ჩოლგოსის) მსხვერპლად შეიქმნა პრეზიდენტი ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებისა მაკ-კინლეი, რომელიც ეს

დგან ჰფენდა არე-მარეს ცხოველმყოფელ სხივსა და შუქს. ახლაც ასეა, თუმცა-კი ევოლიუცია ჰხდება და ზოგან სოფელი ლამობს ქალაქის უღელი მოიშოროს და თავისუფლად ვლოს გზანი თვისნი... იქ ახლა სოფლის გაქალაქებას არა თუ ეტრფიან და ეაშიკებიან, არამედ ასეთს გაქალაქებას უფრთხიან, ერიდებიან, უჩივიან.

ამას წინად გამოაშკარავეს სტატისტიკური ცნობები საფრანგეთში დ̃ აღმოჩნდა, რომ მკვიდრთა რაოდენობა სოფლად კლებულობს და ქალაქად მატულობს. და მერე იცით, რა მოხდა?—მთელი პრესა აღიჭურვა ამ მოვლენის წინააღმდეგ და მრისხანე ღაღადისი მორთო,—სოფელი რად ქალაქდება და ამ ბოროტებას უნდა ეხლავე ეშველოსო... ჩვენი ვაჟ-ბატონები-კი ამღვარან დ̃ გაიძახიან,—მთლად დასტოვეთ სოფლები და გაქალაქდითო, თორემ უფსკრულსა და უკუნეთში შთაინთქებითო. ეს გახლავთ ჩვენის გაქალაქების საბრალო და საცოდავი მოძღვრება, თუთიყუშობისაგან წარმონაშობი!... და სასაცილო კიდევ ისაა, რომ „ივერიას" უკიჟინებენ, რეაქციის ბანაკი ხარ, ცოცხალი დ̃ დროს შესაფერი აზრი განდევნე და მკვდარი და დროს გადასული გააბატონე, რადგანაც სოფელს მიაქციე უმთავრესი ყურადღებაო...

სოფლის უარყოფა და ქართველობის სრულიად გაქალაქება იქიდგან წარმოსდგა, რომ ჩვენს დროს მართლაც და ეკონომიური ვითარება შეიცვალა, მრეწველობა და ალებ-მიცემობა აღორძინდა და ყოველივე ეს ქალაქმა მოახდინა. „მნიშვნელობა თანამედროვის ქალაქის, მრწველობის და ალებ-მიცემობის ერის აღორძინებაში „ივერიას" სრულიად არგაეგებაო"... ჯერ ერთი, რომ ეს ცოცხალი ტყუილია და „ივერიაში" არა ერთი და ორი წერილია მოთავსებული ამ საგნის შესახებ (მაგალითებრ, შესანიშნავნი წერილნი პატივცემულ ანტ. ფურცელაძისა). მეორედ, ქალაქისა, მრეწველობის და ალებმიცემობის მნიშვნელობა სრულიადარა თხოულობს სოფლის გაუქმებას, სოფლის გაქალაქებას.

ეკონომიურად ქალაქსა და სოფელს შორის სამფლობელო და საწარმოვო გამიჯნული და განსაზღვრულია. ქალაქი მრეწველობს დ̃ ალებ-მიცემობს, ხოლო სოფელი მეურნეობს. აწინდელი შინაური საეკონომიო პოლიტიკა სწორედ იმ გზას ადგია, რომ ქალაქისა და სოფლის შრომას და მოღვაწეობას თანასწორედ ხელი შეუწყოს, ამ შრომისა და მოღვაწეობის მსვლელობა მწყობრად მოაწყოს. მოგეხსენებათ, რომ ბევრგან ასე მწყობრად არ მიმდინარეობს ქალაქისა და სოფლის ეკონომიური ცხოვრება,—ზოგან ქალაქი სჩაგრავს სოფელს და ზოგან კიდევ სოფელი ქალაქს. ამის გამო დიდი დავა და ქიშპობა სუფევს მრეწველთა და მემამულეთა შორის. საეკონომიო პოლიტიკა სწორედ რომ შუამავალი და ბჭე არის ასეთს შემთხვევაში. მაგრამ არც ერთი პოლიტიკოსი და ეკონომისი ისრე ქუაზედ ხელს არ აიღებს, რომ სოფელი და სოფლის მეურნეობა მსხვერპლად შესწიროს იმ სვავს, რომელსაც ქარხანა ეწოდება. ეს მსხვერპლის შეწირვა არც შესაძლებელია, ვინაიდგან თვით ეროვნულ ერის საეკონომიო ტრაპეზი ერთგვარად საჭიროებს როგორც ქალაქის, ისრე სოფლის ნაშრომს და ნაღვაწევს.

რკი ასეა, მაშ აწინდელი დადისი—სოფელი გაქალაქდესო—ცარიელი თუთიყუშობა ყოფილა და სხვა არაფერი. ყველა გლეხი ქალაქის მუშად უნდა გარდაიქცესო, რადგანაც მთელი აწინდელი ჩვენი აღდიდება მუშის ხელთა ქმნილებაო. მაგრამ იქმნება არა გჯერათ?—აი, თითონ მოისმინეთ:—„საქართველოს წარმატება, გაერთიანება, უცხო ტომთა დამარცხება, კულტურული ზრდა წარმოებს ქართველის მუშის ზურგით, ხოლო სახრავი და სახელი მის ბატონ ბურჟუას რჩებაო", „მთელი დღევანდელი ცივილიზაცია მუშათა მეოხებით შეიქმნა, ხოლო სარგებლობა ბურჟუაზიას ერგოო" („კვალი" № 18, 1896 წ. ნოე ჟორდანიას წერილი „მესამოცე წლების მოძღვარნი და დღევანდელი ცხოვრება"). ამიტომაც ასე თავგამოდებით იბრძვიან, რომ სოფელი გაქალაქდეს, ტეტია ქარხნის მუშად გარდაიქცეს და მუშათა მეოხებით შექმნილი საქართველოს ცივილიზაცია იმავე მუშებს დარჩეს... რასაკვირველია, სხვანი-კი მშრალზედ უნდა დასხდნენო. მაგრამ რად?—მაგრამ, ვსთქვათ, ყველა ეს კარგი და პატიოსანი, ხოლო სად სჩანს და რით მტკიცდება, რომ საქართველოს „კულტურა" და „ცივილიზაცია" მუშებს შექმნეს?! რა საკადრისა ასეთი ღალატი და თავის მოტყუება? თუ არა და,—გვგონია განა ასეთი უმეცრება და უვიცობა?!...

რასაკვირველია, სამეურნეო სწავლა და ცოდნა სასაცილოდ აგდებულია და „ივერია" „რეაქციის", „რეტროგრადობის" და „კონსერვატორობის" ორგანოდ აღიარებულია, რადგანაც სამეურნეო განათლების ესარჩიელია. მაგრამ ამ საგანზედ ბევრი თქმულია და დაწერილი და ჩვენი ბასი მეტი იქნება. დასასრულ ერთიოდე სიტყვაც.

ჩვენ სრულიადაც არა ვართ წინააღმდეგნი მოქალაქეობის, მრეწველობის და ალებ-მიცემობის აღორძინებისა. პირ-იქით, ჩვენი სული და გული სწორედ ასეთს აღორძინებისკენაც ისწრაფვის, მაგრამ ამისათვის საჭირო როდია სოფლის გაქალაქება, გლეხის საქარხნო მუშად გარდაქცევა. სოფელი სოფლად უნდა დარჩეს და იმას პატრონობა და ყურის გდება არ უნდა მოაკლდეს. მაშ რა დასაცინი და გასაკიცხია, რომ „ივერია" სწორედ ასე იქცევა? ვისაც მართლა გული სტკივა სამშობლოსათვის, იგი სოფლისათვისაც ყოველთვის ზრუნავს, რადგანაც ჩვენი გლეხების ქვა-კუთხედი ჯერ ისევ სოფელია. თუ ეს ქვა-კუთხედი მოიშალა, ქალაქი სამშობლოს ვერ მოგვცემს. რასაკვირველია, ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ ქართველობამ ქალაქს პირი არიდოს, ზურგი შეაქციოს და მხოლოდ სოფლად ჩაიკეტოს. ქართლ-კახეთის აწინდელმა ქალაქმა ეროვნული ელფერი დაჰკარგა და ამ მხრივ ღრმად უნდა ჩაფიქრდეს ჩვენი საზოგადოება. მაგრამ აქ რა შუაშია სოფლის აუჩად დაჭერა, მისი შელახვა?...

Plebs.

მეორედ იყო 1900 წ. პრეზიდენტად ამორჩეული. პირველად იგი პრეზიდენტად 1896 წელს (რესპუბლიკელთა კანდიდატია) აირჩიეს, მაგრამ სახელი ადრევე ჰქონდა გაკეთებული, როგორც ავტორს 1890 წლ. ტარიფისას, რომელიც უცხოეთიდგან (განსაკუთრებით-კი ევროპიდგან) შემოტანილს საქონელზედ უზომოდ დიდს გარდასახადს თხოულობდა. მაკ-კინლეის ამორჩევიდგან იწყება ნამდვილი გამარჯვება ეგრედწოდებულის პროტექციონიზმის, ოქროს ვალუტისა და საუცხოეთო აქტიურ პოლიტიკისა. ოქროს ფულის შესახებ ახალი აღარა იყო-რა საჭირო, გარდა იმისა, რომ 1894 წ. კანონი დაეცვათ ამ საგნის შესახებ. რაც შეეხებოდა საბაჟო პოლიტიკას, აქაც მხოლოდ მაკ-კინლეის მიერ შემოღებულს 1890 წლის ტარიფს უნდა დაჰბრუნებოდნენ. ეს ტარიფი შეავსეს მხოლოდ დინგლეის ახალი საპროტექციონო ტარიფით, რომელიც შედარებით მეტად სდევნიდა უცხო ქვეყნების საქონელს. თუ რამე ახალი შესძინა ქვეყანას მაკ-კინლეიმ, ეს მხოლოდ საუცხოეთო პოლიტიკის სრულიად ახალი მიმართულება, რომელმაც 1897 წელს შტატებს სანდვიჩის კუნძულები შეუერთა. ასეთივეა კუბას კუნძულის ავტონომია და ვეილერის (ისპანიის მხრივ) გამოყვანა კუბიდგან. ასეთსავე მაგალითს წარმოადგენს 1898 წელს ისპანიასთან ატეხილი ომი და ფილიპეს კუნძულებისა და პორტორიკოს შტატებთან შემოერთება. მაგრამ 1898 წლის მშვიდობიან მორიგებით ფილიპეს კუნძულების მცხოვრებნი უკმაყოფილონი დარჩნენ და აჯანყება არ შეუწყვეტიათ, რომელიც ამ ჟამად ამერიკელების წინააღმდეგ იყო მიმართული. 1900 წელს მაკ-კინლეი ხელმეორედ ამოირჩიეს პრეზიდენტად და დამარცხდა დემოკრატების კანდიდატი ბრაიანი, რომელიც ბურების საქმეს დიდად თანაუგრძნობდა. მაკ-კინლეის რომ ბურებისათვის თანაგრძნობა აღმოეჩინა და ამერიკის ერის საერთო წადილი შეესრულებინა, ბურებსა და ინგლისელებს შორის ესოდენ მრავალი სისხლი უბრალოდ არ დაიღვრებოდა და ომი თავიდგან იქმნებოდა აცილებული.

პრეზიდენტის არჩევნამდე პრეზიდენტობაზედ ფიცი მიიღო ვიცე-პრეზიდენტმა რუზველტმა.

კალლისტრატე და კალლისტრატიზმი.

გათავდა ინტელლიგენციის ბრძოლა კალლისტრატესთან. გაათავა კალლისტრატემაც თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მისი მნიშვნელობა იქმნება აწ არა-რა. მხოლოდ ერთი რამ-კი დარჩება ჩვენში დიდხანს, სახელდობრ—კალლისტრატიზმი.

თუ კალლისტრატე მომაკვდინებელ ჭიად გამოუჩნდა ჩვენს ბანკს, როგორც ფილოქსერა ვენახს, კალლისტრატიზმი ძირს უთხრავს ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს. კალლისტრატე იყო ფოკუსი, რომელშიაც თავს იყრიდა ჩვენი ანტისოციალური თვისებანი. კალლისტრატიზმი წარმოადგენს პირად მოქმედებას, დამყარებულს უბადრუკ ცხოვრებაზე, მოხერხებაზე. კალლისტრატიზმი მდაბიო, ქვენა გრძნობების აღგზნებაა არა-კეთილშობილურის საქმისათვის. კალლისტრატიზმი ვერ-გარჩევაა ავისა კარგისაგან, პირადისა ზოგადისაგან. კალლისტრატიზმი უარყოფაა საზოგადოებისა და თაყვანის-ცემა კერძო სარგებლობისა. აი რა არის კალლისტრატიზმი, აი სად იყო ბ. კალლისტრატეს ძალა.

ბ. კალლისტრატეს მოღვაწეობამ აგვიხილა თვალი ჩვენის საზოგადოების ნაკლულოვანებაზე, დაგვანახვა ჩვენი მოქალაქობრივი მოუმზადებლობა, ის ბნელეთი, რომელშიაც ჩავარდა ჩვენი საზოგადოება. ბნელეთი, რასაკვირველია, ბ. კალლისტრატეს გამოსვლამდისაც იყო, მხოლოდ ისე არ აბნელებდა საზოგადოებრივს თვით-გრძნობიერებას. ბ. კალლისტრატემ გამოიყენა იგი ბნელეთი, როგორც საშუალება, იარაღი თავის მოპირდაპირეებთან საბრძოლველად. და თუმცა ბ. კალლისტრატე გადადგა, საზოგადოებრივი ბნელეთი ისევ ბნელეთად რჩება, რომლისაგანაც კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ. მაშ, თუ აქამდის ბ. კალლისტრატეს ვებრძოდით, ახლა გვმართებს ბრძოლა უარეს ბოროტებასთან—კალლისტრატიზმთან.

ვასილ წერეთელი

დოქტორის კოხის ახალი გამოკვლევა ჭლექის შესახებ.

გასულს ივლისს ლონდონში ჭლექის საწინააღმდეგო საშუალებათა გამოსაძებნელად მეცნიერთა კრება მოხდა, რომელსაც, სხვათა შორის, დაესწრო მეცნიერი კოხიც. კოხის სახელი, ეჭვი არ არის, ყველას გაეგონება. ეს ის კოხი გახლავთ, რომელმაც ჭლექის ბაცილა აღმოაჩინა და რიმლის სახელითაც მონათლეს იგი „კოხის ჩხირათ“. კრებაზედ კოხმა თავისი ახალი გამოკვლევანი წაიკითხა ამ სენის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, დღეს ჭლექი მთელს დედა-მიწაზეა მოდებული და დიდს ნავნებსაც აძლევს კაცობრიობას. აი, ამიტომაც რაც-კი რამ ახალი ითქმის ამ სენის შესახებ, ყოველივე ეს მთელს ქვეყანას აინტერესებს. მაშ მით უმეტეს საყურადღებო უნდა იყოს ახალი გამოკვლევა ამ სენის შესახებ ისეთი დიდებული მეცნიერისა, როგორიც დოქტორი კოხია.

რა გზით იწამლება ადამიანის სხეული ჭლექის ბაცილებით, ეს უმთავრესი და უპირველესი საკითხია, რომელიც ჯერაც სავსებით ვერ გამოუკვლევიათ მეცნიერთ: ზოგი იმ აზრისაა, ვითომ ჭლექი მხოლოდ მემკვიდრეობით გადადიოდეს დედ-მამისაგან შვილებზედ; ზოგი კიდევ იმ აზრისაა, ვითომ თავი და თავი მიზეზი აქ ჭლექის ბაცილები იყოს: შესაძლებელია ადამიანი მემკვიდრეობით თავისუფალი იყოს ამ სენისაგან, მაგრამ მაინც მოიწამლოს ჭლექის ბაცილებით.

როგორც ლონდონის კრებაზედ კოხის მიერ წაკითხულ მოხსენებიდგანა *) სჩანს, ეს მეცნიერი თითქმის სრულებით უარ-ჰყოფს მემკვიდრეობასა და ჭლექს გადამდებ სენათა სთვლის; გვირჩევს განსაკუთრებით ბაცილების წინააღმდეგ მივიღოთ ყოველი ღონის-ძიება და ჭლექიანს ავადმყოფებს ვერიდოთ.

როგორც კრების ანგარიშიდგანა სჩანს, უმრავლესობა არ დასთანხმებია კოხს მემკვიდრეობის უარყოფაში, თუმცა თანამოაზრენიც ბლომად აღმოსჩენია. თანამოაზრეთა შორის ყველას გადააჭარბა (თვით კოხსაც) ამერიკელმა მეცნიერმა Maxan King-მა და ამტკიცებდა, რომ პირ-იქით ჭლექიანი დედ-მამის შვილი ბუნებრივს იმმუნიტეტს—მიუდრეკელობას იძენს ამ სენისადმი.

მეორე კითხვა, რომელსაც კოხი შეეხო, ძროხის ჭლექი იყო. რამდენადაც ვიცით, ჭლექითა ხდება ავად არა მარტო ადამიანი, არამედ ზოგიერთი პირუტყვიც, რომელთა შორისაც ყველაზედ მეტი მნიშვნელობა ძროხის ჭლექსა აქვს, რადგან შესაძლოა ადამიანსაც გადაედოს ჭლექი რძისა და ხორცის საშუალებით. ჭლექით ავადმყოფს ძროხას შიგნით და ძუძუებზედ დააყრის თურმე მარგალიტის მზგავს მუწუკებს, სიდიდით მუხუდოს ტოლას. მუწუკები თან-და-თან მრავლდებიან და ერთმანერთს უერთდებიან. ამ გვარად წარმოსდგება რამოდენიმე სიმსივნე ქათმის კვერცხის ოდენა, რომელიც თავში რბილია, ბოლოში-კი ძლიერ მაგარი. მკურნალნი ამ გვარი ძროხის რძის მორიდებას ურჩევენ; ამიტომ საჭიროა, რძე ყოველთვის რამდენჯერმე წამოდუღდეს და გაიწმინდოს, რადგან დუღილით ბაცილა ადვილად იღუპება და მომწამლავს ძალასა ჰკარგავს.

განსაკუთრებით საშიშია ამ გვარი რძე ძუძუთა ბავშვისთვის, რომელიც დედის რძეს მოკლებულია და ძროხის რძით იკვებება.

ეს რამდენიმე წელიწადი თურმე კოხი სცდილობს გამოარკვიოს, ადამიანისა და ძროხის (საზოგადოდ პირუტყვის) ჭლექი ერთი და იგივე ავად-მყოფობაა თუ არა, მაგრამ, როგორც მრავალმა ცდამ დაარწმუნა იგი, ადამიანისა და პირუტყვთა ჭლექი სულ სხვა-და-სხვა სენი თურმეა და შეუძლებელია ადამიანს პირუტყვისაგან ჭლექი გადაედოს; მაშასადამე, აქედგან ხორციც და რძეც ჭლექიანის პირუტყვისა სრულებით უვნებელია ჩვენთვის. ამ აზრით კოხი რამდენისამე თვის განმავლობაში ხბოებს ერთთავად ჭლექიან ადამიანის ნახველით თურმე სწამლავდა, ზოგს-კი კანს ქვეშაც უშხაპუნებდა ხელოვნურად გამრავლებულს ჭლექიან ადამიანის ბაცილებს, მაგრამ ამაოდ,—არც ერთი ამათგანი ჭლექით არ გახდა ავად.

იმ შემთხვევაში-კი, როდესაც ბაცილები ჭლექიან ძროხის ფილტვებიდგან იყო, ხბო აუცილებლივ ხდებოდა ავად.

კოხმა თავისი მოხსენება ასე დაამთავრა: ადამიანისა და პირუტყვების ჭლექი ერთი და იგივე ავადმყოფობა არ არის, შეუძლებელია ადამიანს საქონლისაგან ეს სენი გადაედოს. აღნიშნული მოხსენება გასარჩევად საგანგებოდ არჩეულს მეცნიერთა კომისიას გადაეცა.

ექიმი ბადრიძე

დაბა და სოფელი

სამეგრელო. წრევანდელი წელიწადი ჯერ-ჯერობით ვერაფერი ნუგეში და ხელ-საყრელია მეგრელ მეურნეთათვის. თავისს დროზედ სიმინდის ყანები ვერ დაითესა, რადგანაც 10 მაისიდგან 27 ივნისამდე მიწა გაგვალული იყო. ვინც-კი აპრილის ბოლოს და მაისის პირველ რიცხვებში ყანები დათესა, სულ გამუდმებულმა გვალვებმა ასწვა და ახრუკა. ზოგმა ივნისის უკანასკნელს რიცხვებშიაც დასთესა სიმინდი, სულ არარაობას, ჩალა მაინც გვექნებაო, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ ჩვენნი მეურნენი. ნაადრევი და ნაგვიანევი სიმინდის ყანები ადგილ-ადგილ სწორედ სამწუხარო სანახაობას წარმოადგენს: თითქმის ნახევარს ტარო არ ამოუტანია, ცარიელი ღერო-კი მაღლა ცას შეჰყურებს. ღმერთმან იცის, ამოიღებს ტაროსა თუ არა... ასეთივე ცუდი დღე დაადგა ბოსტნეულობასაც. საზოგადოდ მეგრელი მეურნე ბოსტნეულის მიმდევარი არ არის. სთესავს მხოლოდ ოჯახისათვის საკმაოსა და არა გასასყიდს, მაგრამ ესაც სულ მოაცდინა გვალვებმა. ღვინის მოსავალმა ხომ საზოგადოდ ყველას თავი დაუსერა. ვისაც 50—100 მეგრული კოკა ღვინო მოსდიოდა, ის წელს საზედაშესაც აღარ მოელის. მართალია, პირველში ვაზმა კარგად მოისხა, მაგრამ შემდეგში უჩინრად გაჰქრა. ხოლო ზოგიერთს კორესპონდენტებს თუ დავუჯერეთ, მაგ. გაზ. „Новое Обозр.“-ას, წელს თურმე უხვი მოსავალი იქნება ღვინისაც და სიმინდისაც?! მის პირს შაქარი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სიმართლეს მოკლებულია ეს ცნობა...

სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, მაგალ., ციებ-ცხელება, რომლის სეზონიც სამეგრელოში ზაფხულობით იწყება, ყველგან ხშირი სტუმარია. ეგრედ წოდებული „მუცელა-სიმრთელე“-ც დაერია დიდსა თუ პატარას და აქა-იქ ზარალსაც იძლევა.

ტრიფონ კალანდარიშვილი

ქუთაისი. ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებს რომ სწავლა სწყურიათ, ეგ ახალი ამბავი აღარ არის, მაგრამ იგიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ წყურვილს სამესამედოთაც ვერ იკვლენ საბრალონი.

საზარელს სურათს წარმომდგენს, ეს ერთი კვირაა, ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. ვეებერთელა ეზო სასწავლებლისა სავსეა პატარა ბავშვებით, მათის მშობლებით, ნათესავებითა და მასწავლებლებით; ყველა დაღვრემილი და მოწყენილია. სულ 28 ვაკანსიაა გამოცხადებული ერთად-ერთს უფროსს განყოფილებაში და მთხოვნელი-კი 128-ზე მეტია.

პაწიები ყველანი დიდის ხნის მომზადებულნი და შესაფერისის ცოდნისანნი არიან, გამოსაცდელად ყველა მიუშვეს. ჯერ საღმრთო სჯულისა, არითმეტიკისა და წერით გამოცდა სწარმოებს. ამ საგნებში ბევრმა ძლიერ კარგად დაიჭირა ეგზამენი და გამოეცხადათ, რომ შეუძლიათ რუსულშიაც განაგრძონ სიტყვიერი გამოცდა. ასტყდა უზარო ტირილი, მაგრამ ყველასი-კი არა; მხოლოდ ღობეს გარეთ დარჩენილთა პატრონები სტირიან. ეგ პირველი ცხრილია; საქმე ისაა, ახლა ბეწვის ხიდზედ როგორ გავლენ: რუსულის ეგზამენი უნდა გადიხადონ. აქ გადასწყდება მათი ბედი... ბედნიერი შეიქმნა მხოლოდ იმდენი, რამდენიც თავისუფალი ადგილი იყო. მტირალთა რიცხვმა იმატა. ზოგიერთ ჭირზედ ის ჭირიც დაერთოთ, რომ რის ეგზამენიც კარგად გადაიხადეს, იმაშიაც ორიანები გამოუცხადეს. ეგ რა სასწაულით მოხდა, ვეღარ გავიგეთ.

ამოდენა თავ-ზარ-დაცემული მოსწავლენი და მათი პატრონები დირექტორის სადგომისაკენ გაემართნენ სამუდაროდ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის მოურავი, ხმოსანი მკურნალი თოფურია მოსწავლეთა პატრონებმა დირექტორს შუამდგომლად და მათხოვნელად მიუგზავნეს, რომ მათი ხარჯით მოსამზადებელი კლასსის პარალელი გაეხსნა, მაგრამ დირექტორმა, სხვა-და-სხვა საშინაო მიზეზებისა გამო, უარით გამოისტუმრა.

რადგანაც დირექტორმა ეგ კანონიერი თხოვნა არ შეიწყნარა, გუშინ წინამძღოლის, ქალაქის მოურავისა და რაოდენისამე ხმოსნისა და მშობელთა-მიერ ხელ-მოწერილი სათხოვარი ტელეგრამმა ამ საგნის შესახებ მზრუნველს გაეგზავნა. მაგრამ შეიწყნარებს თუ არა მზრუნველი ამ თხოვნას, არ ვიცით.

X.

ნარკვევი

უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვის სიმცირეს რუსეთში არა ერთხელ მიაქცია ყურადღება როგორც რუსულმა ჟურნალ-გაზეთობამ, ისე საზოგადოებამ. შემოდგომაზედ, როდესაც მსურველთა უმრავლესობის ერთი ნაწილი ახერხებს მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლას, დანარჩენნი-კი იმედ-გაცრუებულნი ბრუნდებიან, მწერლობა და საზოგადოება განსაკუთრებულ უხშირებს ხოლმე ლაპარაკს ამის შესახებ. ამავე საგანზედ სწერს ეხლა გაზეთი „Русскія Вѣдомости“. გაზეთი დიდად საჭიროდა სცნობს ახალ უმაღლეს სასწავლებლების დაარსებას რუსეთში, განსაკუთრებით ტფილისსა და ვილნოში.

> „კარგა ხანია შუამდგომლობაა აღძრული ამ ქალაქებში უნივერსიტეტების დაარსების შესახებ, სწერს გაზეთი. უმაღლეს სასწავლებლების დაარსებას დიდი მნიშვნელობა ექმნება ორ განაპირა პროვინციისათვის. სასწავლებელი გააცხოველებს ცხოვრებას, გამოიწვევს სამეცნიერო ინტერესებს, ბუნებისა და მცხოვრებთა შესწავლის ხალისს. სამწუხაროდ, ახალ უნივერსიტეტების დაარსებას პრესსაში დიდი მოწინააღმდეგენიცა ჰყავს: „Москов. Вѣдом.“-ი უნივერსიტეტების დაარსების სურვილი სეპარატობას მიაწერა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ვილნაში ოდესღაც უნივერსიტეტი იყო, მაგრამ იმისი დაკეტვა საჭირო შეიქმნა, რადგანაც პოლონიზმის ბუდედ გარდაიქცაო. უნივერსიტეტის აღდგენა ვილნოში, ისევე, როგორც ტფილისში ახალის დაარსება, გაზეთის აზრით, მხოლოდ გააძლიერებს სეპარატიულ მისწრაფებებს.“

---

*) La semaine medicale №№ 32—33.

ამ აზრის გასაბათილებლად და უკუღმართ გაზეთის გასამტყუნებლად „Русс. Вѣд.“-ს გერმანიის მაგალითი მოჰყავს, რომელმაც ელზას-ლორენის დაპყრობისას არამც თუ არ გააუქმა სტრასბურგის უნივერსიტეტი, არამედ უფრო უკედ მოაწყო და დაამშვენა.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. ამას წინად ინგლისის მთავრობამ დააპატიმრა იოჰანესბურგის კომენდანტად ნამყოფი უფლებათა დოქტორი კრაუზე, რომელსაც სახელმწიფო ღალატი დააბრალეს. ფრედერიკ კრაუზე ყმაწვილი კაცია 33 წლისა, იგი იურისტია და ადვოკატი ლონდონში, კარგად ცნობილია აგრეთვე ტრანსვაალში. როცა პოლიციელნი მივიდნენ მის შესაპყრობად, მან მოსთხოვა, მაჩვენეთ მთავრობის ბრძანება ჩემის დაპატიმრების შესახებო, მაგრამ უარი უთხრეს და როცა პოლიციაში მიიყვანეს, მხოლოდ მაშინ წაუკითხეს ბრძანება, თუ რაში ამტყუნებდნენ. პოლიციის აგენტმა დაიჭირა მრავალი წვრილი წიგნები კრაუზესი. მისმა ვექილმა ჯორჯ ლუისმა სთხოვა ბოუ-სტრუტის მოსამართლეს, რომელიც არჩევდა ამ საქმეს, კრაუზე თავდებით გამოუშვითო, მით უფრო, რომ მისი დანაშაულობა სრულიად უსაფუძლოაო. მაგრამ რუტჟენმა მიუგო, რომ ბრალდება იმდენად დიდია, რომ თავდებობა შეუძლებელიაო. კრაუზე ციხეში ჩასვეს.

კრაუზე ვექილმა ტრანსვაალში დიდი პატიოსნება და მოუსყიდველობა გამოიჩინა, და ყველა ერთა შორის მშვენიერი რეპუტაცია ჰქონდა, რასაკვირველია, ამისათვის მან მტრებიც შეიძინა, რომელთაც მიაწერენ კიდეც ამ ბრალდებას. იოჰანესბურგის კომენდანტად მყოფობის დროს, მან დიდის თავ-განწირულობით შეასრულა ლუი ბოტას მინდობილება და არ გაანადგურებინა მადნები. ინგლისელები მაღალს თანამდებობას ჰპირდებოდნენ მას იოჰანესბურგის აღების შემდეგ, მაგრამ მან არ მიიღო ეს წინადადება, რადგანაც ბევრი მისი ნათესავი ჯერ კიდევ იბრძოდა. ლონდონში იგი ჩამოვიდა ამ ხუთი თვის წინად, მასთან მოვიდნენ აგრეთვე დედა და და, მათთან ერთად შოტლანდიაში გაემგზავრა. კრაუზე იყო პირდაპირი კაცი, იგი არავის უმალავდა თავისს აზრსა და არც შეეძლო ვისმესთვის ეღალატნა.

მცირე შენიშვნა.

1890 წელს, როცა ბ-ნი ნ. მხეიძე ლანჩხუთის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს განაგებდა, სხვა-და-სხვა კაცებს შემწეობის ბარათები გაეგზავნა, რომლებიდგანაც დღემდე არაფერი პასუხი არ მიგვიღია. ამისთვის ვთხოვთ ყველას, ვინც-კი ასეთი ბარათი მიიღო, კეთილ ინებონ, დროზედ წარმოგვიდგინონ მათ მიერ შეგროვილი ფულები და მასთან ერთად ჩვენ მიერ გაგზავნილი ბარათებიც. ეს მით უფრო საჭიროა ჩვენთვის, რომ ადგილი უკვე შევიძინეთ სამკითხველო-წიგნსაცავისათვის და ჩქარა ქვით-კირის შენობის აგებასაც ვაპირებთ. ფულის და ბარათების უკანვე დაბრუნება შეიძლება ამ ადრესით: М. Ланчхуты. Ланчхутской безплатной библіотекѣ.

ლანჩხუთის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგე ი. გოგიჩაიშვილი.

1901 წ. 31 აგვისტო.
ს. ლანჩხუთი.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

პირველი რკინის გზა ინგლისში იქმნა გაყვანილი. ამ გზაზედ მატარებლებმა სიარული 27 სექტემბერს 1825 წელს დაიწყეს. ავსტრიაში მატარებლებმა სიარული დაიწყეს 1828 წ. 30 სექტემბერს, ხოლო ორის დღის შემდეგ, ორ ოქტომბერს—საფრანგეთში. შეერთებულ შტატებში მატარებლებმა ახლად გაყვანილ რკინის გზაზედ სიარული დაიწყეს 1829 წელს; ბელგიაში—3 მარტს 1835 წ.; გერმანიაში—7 დეკემბერს 1835 წ., რუსეთში—4 აპრილს 1838 წ. და იტალიაში—4 სექტ. 1839 წელს.

⁂

რა ხანში ადგენენ მწერალნი თავისს საუკეთესო ნაწარმოებს? ამის შესახებ ინგლისურ ჟურნალ „ვოოკტინგში“ შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი. ტეკკერეი თავისს საუკეთესო თხზულებების წერას მაშინ შეუდგა, როდესაც 35 წლისა შესრულდა და სწერდა 52 წლამდე; დიკენსმა-კი დასწერა საუკეთესო თხზულებანი, 20—30 წლისა რომ იყო. ტროლლიცმა წერა 40 წლისამ დაიწყო, მილტონი 50 წლისა იყო, როდესაც თავისი უკვდავი პოემა დასწერა; სვიფტი—59 წლისა, როდესაც „გულივერის მოგზაურობა“ შეადგინა, ხოლო დეფოე „რობინზონ კრუზოს“ შექმნის დროს 58 წლისა იყო. პირველი რომანი—„კოვერლეი“ ვალტერ სკოტმა 44 წლისამ შეადგინა. დარვინი 50 წლისა იყო, როდესაც „სახეთა წარმოშობა“ დასწერა. საუკეთესო რომანები ჯორჯ ელიოტმა მაშინ დასწერა, როდესაც 50 წლისა შესრულდა. სამაგიეროდ პოეტებმა გიუგომ, ბაირონმა, პოპმა, ალფრედ მიუსსემ, შელლიმ, გოტიემ და მრავალმა სხვამ თავიანთი შესანიშნავი თხზულებანი ახალგაზრდობაში შეადგინეს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

3 სექტემბერი:

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრი რამდენსამე ხნით სამხრეთ რუსეთში წავიდა და სამინისტროს გამგეობა დროებით დაეკისრა მინისტრის ამხანაგს კოკოვცევს.

დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული კალუჩაში წაბრძანდა.

მაკ-კინლეის გარდაცვალებისა გამო პანაშვიდები გარდახდილ იქმნა ინგლისისა და ბრიტანიის ამერიკის ეკლესებში.

ბუფფალო. დაფიცვის შემდეგ რუზველტმა სთხოვა კაბინეტის წევრებს თავიანთ ადგილებზე დარჩენა, ვიდრე კონგრესი არ იქნება მოწვეული საგანგებო სესიაში.

ბუფფალო. რუზველტმა გამოსცა მანიფესტი, რომლითაც დადგენილ იქმნა, რომ ხუთშაბათს, მაკ-კინლეის დასაფლავების დღეს, შეერთებულ შტატებში ყველგან გარდახდილ იქმნას პანაშვიდები.

დ-რი მანტი, მაკ-კინლეის ერთი მკურნალთაგანი, უჩვენებს იმ შესანიშნავ ფაქტზე, რომ სხეულის გაჭრისას ყველა უჯრედი, რომელსაც ტყვიამ გაუარა, მიმკვდარებული აღმოჩნდა; კუჭის ნაწილი დაახლოვებით ერთის დოლარის სიდიდე, აგრეთვე მიმკვდარებულია. სხეულის გაჭრას დაესწრნენ წარმომადგენელნი მთავრობისა, ოჯახისა და და სამკურნალო წოდებისა.

ბერლინი. საერთა შორისო ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგი გამოფენა დახურა სასოფლო მეურნეობის მინისტრმა პოდბელსკიმ როცა პრემია უკვე გაცემულ იქმნა. ერთი ცხრა ოქროს მედალთაგანი, იმპერატრიცის სურათით, რომელიც უმაღლეს ნიშნად ითვლება, მიიღო პეტერბურგის საიმპერატორო ცეცხლის გაჩენის მომსპობელმა საზოგადოებამ; ვერცხლის მედალი იმპერატრიცის სურათით ებოძა რუსეთის დამზღვევ საზოგადოებას „როსიას“. პრემიის მნიშნავ პირთა შორის ურევია ინჟენერი ა. პრესი პეტერბურგიდგან წასული.

ბერლინი. გამოფენის გამო სათხოველ სადილზე პოდბელსკიმ მიირთვა სადღეგრძელო იმპერატორისა და ყველა ქვეყნის ხელმწიფეთა, რომელნიც გამოფენას დაესწრნენ. ამ საღამოს გაიხსენეს გენერლის ბოგდანოვიჩის სიტყვა 1899 წ. შარლოტენბერგში წარმოთქმული, რომელშიც გერმანიის ცეცხლის მქრობელი რაზმი გამოყვანილა როგორც მისაბაძავი მაგალითი.

კაპშტადტი. აქ ყველანი ერთხმად ამტკიცებენ, რომ კიტჩენერის პროკლამაციამ 24 ივლისს გამოცემულმა ვერ გამოიწვია დანებებულ ბურთა რიცხვის გადიდება.

კაპშტადტი. ბურები ტერენის წინამძღოლობით გუშინწინ დაესხნენ ჰეიდელბერგს, რომელსაც იცავდა ერთი რაზმი დასავლეთ იოკშირის ჯარისა. თავს დასხმა დიდის გამბედაობით იქმნა შესრულებული, მაგრამ მოგერებულ იქმნა.

ბლუმფონტეინი. მაიორმა დამანტმა, რომელიც ჰერცოგის რაზმის წინააღმდეგ მოქმედებს, ფორესმიტთან 11 ბური შეიტყუა საფარში და ტყვედ წაიყვანა. 234 ბურმა შეჰფიცა ინგლისს ერთგულობა ვინბურგსა, ვრედსა და გამისმიტში.

მოსკოვი. დღეს, შეერთებული შტატების პრეზიდენტის გარდაცვალებისაგამო, ინგლისის ეკკლესიაში წირვა იქმნა გადახდილი.

ხარკოვი. მაღალყოვლადუსამღვდელოესი ამბროსი, რომელიც თავის აგარაკში სცხოვრებდა ვსესვიატკაში, მძიმე ავად გახდა; უხუცეს მამა-მთავრის მდგომარეობას უიმედოდ სთვლიან.

ნეიფარვასერი, 31 აგვისტოს (დაგვიანებულია). დღევანდელი საზღვაო აღლუმის გათავების შემდეგ ორივე იმპერატორი „ჰოგენცოლერნში“ წაბრძანდა, სადაც უკვე თავმოყრილიყვნენ პრინცი ჰენრიხი, დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე მხლებლებითურთ და ადმირალები. სადილი ორ საათზე იყო. სადილის შემდეგ მათ უდიდებულესობათ კარგა ხანი გაატარეს გემში ერთმანეთთან მუსაიფში და ბევრსაც აღირსეს თავისთან ლაპარაკი. შემდეგ იმპერატორნი მეგობრულად გამოეთხოვნენ დიდს მთავარს ალექსი ალექსანდრეს ძეს და პრინცს ჰენრიხს, რომელთაც დასტოვეს „ჰოგენცოლერნი“; დიდი მთავარი დანციგში წაბრძანდა, ხოლო პრინცი ჰენრიხი თავისს ესკადრაში დაბრუნდა. იმპერატორმა ვილჰელმმა გრაფს ლამზდორფს დიდი სიხარული გამოუცხადი იმის გამო, რომ შეუძლიან მას აქა მიესალმოს. ორივე იმპერატორი ჩასხდნენ „გულდში“, რომელმაც „შტანდარტში“ მოიყვანა. რუსეთის იმპერატორის გემში იმპერატორმა ვილჰელმმა უგულითადესად გამოეთხოვა უმაღლესს სტუმარს. როცა იმპერატორი „ჰოგენცოლერნში“ დაბრუნდა, ორივე გემი დაიძრა. იალქნები ბაირაღებით იყო მორთული. „შტანდარტი“ კილისაკენ გაემართა, ხოლო „ჰოგენცოლერნი“—ნეიფარვასისაკენ. გაისმა უკანასკნელი „ურა“, იმპერატორებმა კიდევ ერთხელ მისცეს ერთმანეთს გამოსათხოვებელი ნიშანი. რუსეთის იმპერატორის გემი თან-და-თან თვალთ მიეფარა. „ჰოგენცოლერნმა“ გერმანიის ფლოტის თანხლებით ნეიფარვასერს მიაღწია საღამოს 7 საათზედ.

კილი, 1 სექტემბერი (დაგვიანებულია) მიუხედავად ჩრდილოეთის ძლიერი ქარისა და წვიმისა, ნავთსადგურში დილიდგანვე შეიკრიბა მრავალი ხალხი, რომ დასწრებოდა რუსეთის გემის „შტანდარტის“ მოსვლას. 2 საათს 25 წამზედ „ბლუხერის“ გემიდგან ზარბაზნები დასცალეს, რომელსაც უპასუხეს იმ წამსვე ნავთ-სადგურში დარჩენილმა გემებმა „ფრიდრიხ-კარლმა“, „მარსმა“ და „ოლგამ“. რაც იმპერატორის გემი შემოვიდა ნავთ-სადგურში გერმანიის გემებმა რუსეთის ბაირაღი ააფრიალეს და სამჯერ დასძახეს „ურა“, რუსეთის იმპერატორის პატივსაცემლად; „შტანდარტში“ გერმანიის ბაირაღები იყო. გოფმარშალი ბენკენდორფი მაშინვე წავიდა „შტანდარტში“ რუსეთის იმპერატორის მისასალმებლად. მალე 3 საათზედ რუსეთის იმპერატორი წაბრანდა ბარბაროსის ხიდში და შემდეგ სასახლეში.

დუნკირხენი. ქალაქში დიდის სისწრაფით მუშაობენ; ქუჩების გამშვენება თითქმის დამთავრდა. მრავალი ხალხი მოდის; ოთახების ფასებმა 700 ფრანკამდის აიწია. მუნიციპალიტეტისა და „Plare du Nord“-ის რედაქციის მეოხებით რამდენიმე ასი ჟურნალისტი მუნიციპალის კოლეგიაში ბინაობს. ესკადრის ნაწილი შუადღეს მოვიდა, დანარჩენი გემები საღამოს მოვა. ამინდს კარგი პირი უჩანს.

დანციგი. პრინცი ცუნი მოვიდა ნაშუადღევის 5 საათს 30 წამზედ.

განცხადებანი

ქ. ქუთაისში

ისყიდება ორი სახლი ეზოებით. პირველ სახლს თავის ეზოთი აქვს დაახლოვებით 500 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა და იმყოფება თავადის ქუჩაზე (Княж. улица), ქალების გიმნაზიის პირდაპირ, და მეორე სახლს (რომელშიაც მოთავსებულია ოცხელის პანსიონი) თავის ეზოთი აქვს დაახლოვებით 500 ოთხ-კუთხ საჟენამდე და იმყოფება დადიანის ვიწრო ქუჩაზე. ფასზე მოლაპარაკება შეიძლება მამულის პატრონთან, კონსტანტინე ტარასის ძე ვარფოლომეეფთან, ტფილისი, სერგიევის, ქუჩა ჩითახოვის სახლი (Въ Правленіи Кавказскаго Округа путей сообщенія).

(3—191—1)

გამგეობა

ქუთაისის ქალაქის წყლის მილის ამხანაგობისა სამთო ინჟენერის ალექსანდრე დიმიტრის ძის მიხაილოვისა და ამხ. ამითი აცნობებს ბ-ნთ პაის პატრონთ, რომ ფულის მეორედ შემოტანის ვადა იქნება 10 სექტემბერს 1901 წლისა.

შემოსატანი 20$^0/_0$, ე. ი. 20 მან. თითო პაიზედ მიიღება გამგეობის კანტორაში, ქ. ტფილისში ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა და ქუთაისში—წყლის მილის კანტორა.

(3—194—1)

6 ენკენისთვეს 1901 წ. რკინის გზის „რიონის“ სადგურთან ბრიანსკის ქარხნის საწყობში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სხვა-და-სხვა მასალა, რომელიც მორჩა „სვირის“ და „აჯამეთის“ რკინის ხიდების შენებას. მაგალითად: მრგვალი ხეები და ფიცრები სხვა-და-სხვა სიგრძისა და სისქისა, ფოლადის და რკინის ლომები, „ზაკლიოპკები“ $^3/_4$ დიუმიანი ახლები—და სხვა-და-სხვა საოჯახო ნივთები. მსურველთ შეუძლიანთ დაათვალიერონ ყოველ დღე ზემოხსენებული ნივთები დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის ხუთსაათამდე. საჭირო ცნობების გასაგებად მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს „რიონის“ სადგურზე.

(2—6.—1)

ქართული დრამატიულის საზოგადოების გამგეობა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში გამართავს

გამოსაცდელ წარმოდგენას

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა მიჰმართოს საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

(55—11)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Сентября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე,**